ოქმი N11

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეხუთე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2023 წლის 23 ოქტომბერი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 24 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ქავთარაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 აპრილის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

4. ,,ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ'' განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

5. ,,ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

6. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

7. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

8. „ხობის მუნიციპალიტეტში განათლების ხელშეწყობის 2023 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ე. კვიკვინია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი)

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ დღის წესრიგთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. იოსავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ საკრებულოს აპარატში შემოსული იყო განცხადებით, საკრებულოს სხდომაზე სიტყვით გამოსვლის თაობაზე, მაგრამ დღის წესრიგში აღნიშნული საკითხი არ იყო შეტანილი, გამომდინარე აქედან, არ ეძლეოდა განცხადების გაკეთების უფლება. გამომსვლელი დაინტერესდა, თუ რატომ უკრძალავდნენ სიტყვით გამოსვლის უფლებას და აღნიშნული საკითხი რატომ არ იქნა შეტანილი დღის წესრიგში?

ლ. ქავთარაძე - გამომსვლელმა განმარტა, რომ საკრებულოს სხდომაზე განცხადების გაკეთების უფლება ყველას აქვს, მითუმეტეს საკრებულოს წევრს და არასდროს ჰქონია პრობლემა არცერთ გამომსვლელს, როცა ის წინასწარ იყო ჩაწერილი გამომსვლელთა სიაში. სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს აპარატის უფროსს (ლ. შამათავა) განემარტა თუ რატომ არ იქნა შეტანილი დღის წესრიგში სხვადასხვა საკითხად მ. იოსავას განცხადება.

ლ. შამათავა - გამომსვლელმა განმარტა, რომ საკრებულოს წევრის (მ. იოსავა) განცხადება საკრებულოს აპარატში შემოვიდა იმ დროს, როცა ბიუროს სხდომა უკვე მიმდინარეობდა, გამომდინარე აქედან განცხადება ვერ შევიდოდა ბიუროს სხდომის დღის წესრიგში, აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმირებული იყო საკრებულოს წევრი მალხაზი იოსავა. გამომსვლელმა, კიდევ ერთხელ განმარტა, რომ რეგლამენტში არსებობდა ჩანაწერი, როდესაც საკრებულოს წევრი დაინტერესებულია „სხვადასხვა საკითხად" შევიდეს საკრებულოს დღის წესრიგში მისი განცხადება, ის აუცილებლად შეტანილი უნდა იყოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში, რადგანაც საკრებულოს ბიურო ამტკიცებს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგს. გამომდინარე აქედან დღევანდელი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში „სხვადასხვა საკითხად" ვერ შევიდოდა. საკრებულოს წევრის მ. იოსავას განცხადება.

დებატების დასრულების შემდგომ კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 1 (მ. იოსავა)

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ლ. ადანაია, ჯ. ჯიშკარიანი, მ. ხუხია, მ. ჩარტია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 აპრილის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 აპრილის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 აპრილის N17 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის თანახმად, საკრებულოს აპარატის უფროსის მიერ საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე მზადდება მოხსენებითი ბარათი, რომელსაც თან ერთვის საკრებულოს წევრის მიერ უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, რეალურად გაწეული ასანაზღაურებელი ხარჯების დასაბუთების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომლის თანახმადაც, საკრებულოს თავმჯდომარე გამოსცემს ბრძანებას. საკრებულოს აპარატის უფროსის წინადადებით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული აპარატის უფროსის მიერ MS DOC-ში მომზადებული მოხსენებითი ბარათი შეთანხმდეს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარესთან და საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან, მათი ვიზის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გამოიცემა ბრძანება ხარჯების ანაზღაურების თაობაზე. ზემო აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით კომისიის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი: „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ზღვრული ოდენობის

დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 აპრილის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. გამომსვლელის განცხადებით. წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. იოსავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ თანამდებობის პირებმა ხელფასები რომ მოიმატეს, საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურება რატომ არ იზრდებოდა, მითუმეტეს მეზობელ მუნიციპალიტეტებში საკრებულოს წევრების ანაზღაურება ბევრად მეტი იყო, ვიდრე ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში. გამომსვლელი დაინტერესდა აპირებდნენ თუ არა საკრებულოს რიგით წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების გაზრდას?

ლ. ქავთარაძე - გამომსვლელმა განაცხადა, რომ საკრებულოს წევრებს უნაზღაურდებათ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები დადგენილების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, არაუმეტეს 500 ლარისა. რაც შეეხებოდა ანაზღაურების გაზრდას, თავის დროზე 500 ლარამდე გაიზარდა ბიუჯეტის შესაძლებლობის ფარგლებში და პოპულისტური განცხადებების გაკეთება ყოველ სხდომაზე არ იყო მისი მხრიდან გამართლებული.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 19, წინააღმდეგი – 1 (მ. იოსავა)

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ლ. ადანაია, მ. ხუხია, ბ. თამლიანი, გ. ქარდავა, ჯ. ჯიშკარიანი, მ. ჩარტია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N26 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. იოსავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ოპოზიციის წევრები ყოველთვის მხარს უჭერდნენ საკითხის მიღებას, რომელიც ხობის მუნიციპალიტეტის კეთილდღეობას ეხებოდა. ოპოზიციის წევრები რომ არ ესწრებოდნენ სხდომებს, მმართველი პარტიის ხელმძღვანელები ვერ უზრუნველყოფდნენ სხდომებზე უმრავლესობის წევრების მობილიზებას, რის გამოც კვორუმი არ შედგებოდა და სხდომებიც ჩაიშლებოდა. მისი განცხადებით ოპოზიციონერი კოლეგები თუ მხარს დაუჭერდნენ და დატოვებდნენ სხდომას, ქვორუმი საკმარისი არ იქნებოდა და სხდომაც ჩაიშლებოდა.

ლ. შამათავა - საკრებულოს აპარატის უფროსი - გამომსვლელმა განმარტა, რომ საკრებულოს სხდომა რომ გაიხსნას ამისთვის აუცილებელია საკრებულოს სხდომას ესწრებოდეს საკრებულოს 19 წევრი, ხოლო აქტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს უჭერს დამსწრე წევრთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის ერთი მესამედი.

მ. იოსავა - გამომსვლელმა მოუწოდა ოპოზიციონერ კოლეგებს, დემონსტრაციულად დაეტოვებინათ სხდომათა დარბაზი და მან პროტესტის ნიშნად დატოვა სხდომა.

მ. იოსავას მოწოდების მიუხედავად, სხდომათა დარბაზი ოპოზიციონერ საკრებულოს წევრებს არ დაუტოვებიათ.

დებატების დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს (მ. თათარიშვილი) წარმოედგინა დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

მ. თათარიშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო საერთო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან და დღის წესრიგით წარმოდგენილ იდენტურ მე-3 საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის

განმარტებითი 2023 წლის 11 ოქტომბერს ამოქმედდა საქართველოს კანონი „თავდაცვის კოდექსი“, რომლის მიხედვითაც, 2024 წლის 1 იანვრამდე, კოდექსითა და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული უფლებამოსილებები, რომლებიც უკავშირდება სამხედრო აღრიცხვასა და მასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურს (გაწვევის ორგანიზებას, გამოძახებას, გაწვევას, გაწვევისგან გათავისუფლებას ან გაწვევის გადავადებას), სამობილიზაციო სარეზერვო სამხედრო სამსახურს (ჩარიცხვას, გამოძახებას, გაწვევას, გაწვევისგან გათავისუფლებას ან გაწვევის გადავადებას), უნდა განახორციელოს მუნიციპალიტეტის მერმა/მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა სტრუქტურულმა ერთეულმა, ხოლო 2024 წლის 1 იანვრიდან - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში მოქმედმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა, რომელიც იქმნება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. ახალი კანონმდებლობით შეცვლილია როგორც ტერმინოლოგია, ასევე უწყებებს შორის უფლებამოსილებათა გადანაწილება. თავდაცვის კოდექსის ამოქმედების მომენტიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს კანონები „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „თავდაცვის ძალების რეზერვისა და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“, რაც დაფიქსირებულია ხობის მუნიციპალიტეტის მერიის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის დებულებაში, როგორც სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები. ზემოთ აღწერილი გარემოებების გათვალისწინებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების პროექტები „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტები მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. იოსავა, მ. ხუხია, ლ. ადანაია, გ. ქარდავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N27 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. იოსავა, მ. ხუხია, ლ. ადანაია, გ. ქარდავა, ფ. წურწუმია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N28 ოქმს თან ერთვის)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ბ. თამლიანი - გამომსვლელი დაინტერესდა აღნიშნული ბაღის შენობა-ნაგებობა იყიდებოდა დასაშლელად, თუ მასზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთიანად?

ა. ვარდია - გამომსვლელმა განმარტა, რომ აუქციონის წესით იყიდებოდა მხოლოდ ბაღის შენობა-ნაგებობა, რომელიც აუდიტის დასკვნის საფუძველზე არ ექვემდებარებოდა რეაბილიტაციას.

მ. ქარდავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ შენობასთან მისასვლელი გზა სხვისი საკუთრება იყო და სულ სადაო იქნებოდა.

მ. რუხაძე - მერიის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის, ბუნებრივი რესურსებისა და ადგილობრივი მოსაკრებლის განყოფილების უფროსი - გამომსვლელმა განაცხადა, რომ აღნიშნული შენობის დაშლაზე უფლებას ვინც მოიპოვებდა, ვალდებულებაში ჩაეწერებოდა, რომ დაშლის შემდეგ მოესუფთავებინა აღნიშნული შენობის ტერიტორია, რის შემდგომაც, არსებულ ტერიტორიაზე მერია გეგმავდა სხვა პროექტის განხორციელებას, ხოლო რაც შეეხებოდა პრობლემას მისასვლელ გზასთან დაკავშირებით, არანაირი პრობლემა არ არსებობდა, გამომდინარე იქიდან, რომ შენობასთან მისასვლელი გზა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში იყო რეგისტრირებული.

ჯ. ჯიშკარიანი - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ახალი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის შენობა ავარიულ მდგომარეობაში იყო, სკოლაზე საუბარიხომ საერთოდ ზედმეტია, რადგანაც არსებობდა დასკვნა, რომ სკოლის შენობა ავარიული იყო და რეაბილიტაციას არ ექვემდებარებოდა, არადა გამომსვლელის აზრით ვიზუალურად სკოლის შენობას არაფერი ეტყობოდა და არ იყო აუცილებელი სკოლის მოსწავლეების სხვა სკოლაში დროებით გადაყვანა, მითუმეტეს ახლო მომავალში ახალი სკოლის მშენებლობის დაწყების პესპექტივას ვერ ხედავდა.

ლ. ქავთარაძე - გამომსვლელმა განაცხადა, მართლაც მტკივნეული იყო საკითხი ბავშვების მეზობელ სოფელში გადაყვანა დროებით მაგრამ, როგორც მისთვის ცნობილი იყო აუდიტის დასკვნის საფუძველზე მოხდა აღნიშნული სკოლის დახურვა, ბავშვების უსაფრთხოების მიზნით, მითუმეტეს აღნიშნული შენობა არ ექვემდებარებოდა რეაბილიტაციას.

დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - გამომსვლელმა განაცხადა, რომ თვითონ განათლების სამინისტრომ გაუკეთა ექსპერტიზა სკოლის შენობას და ჩათვალა

რომ არ ექვემდებარებოდა რეაბილიტაციას. როგორც მისთვის ცნობილია, გამოცხადებული იყო ტენდერი სკოლის მშენებლობასთან დაკავშირებით და ყველაფერი ეტაპობრივად განხორციელდებოდა.

დებატების დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ, სთხოვა საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

3. **ქანთარია** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ყოფილი საბავშვო ბაღის შენობა არის ავარიულ მდგომარეობაში, მისი აღდგენა-რეაბილიტაცია მოითხოვს ხარჯებს, ინდივიდუალური აუდიტორის და ქონების ექსპერტ-შემფასებლის მიერ განხორციელდა აღნიშნული ქონების შეფასება და მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია განხორციელდეს აუქციონის წესით აღნიშნული შენობა-ნაგებობის (დასაშლელად) პრივატიზება, ასევე ინდივიდუალური აუდიტორი და ქონების ექსპერტ-შემფასებლის მიერ განხორციელდა მოძრავი ქონების ავტომანქანა „ნისან-ნავარას" შეფასება. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. იოსავა, მ. ხუხია, ლ. ადანაია, გ. ქარდავა, ფ. წურწუმია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N31 ოქმს თან ერთვის)

5. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ლ. ქავთარაძე - გამომსვლელმა განაცხადა, რომ იაფი ხომ არ იყო ფართის გაქირავების ფასი? თან დაინტერესდა ამ ეტაპზე, იყო თუ არა ვინმე ფართის დაქირავების მსურველი?

ა. ვარდია - განაცხადა, რომ მერიაში განცხადებით იყო მოქალაქე შემოსული 2 წლით ფართის დაქირავებასთან დაკავშირებით, სადაც აღნიშნული იყო დაქირავების შემთხვევაში აღნიშნულ ფართის გარემონტების შესახებ. ხოლო 2 წლის გასვლის შემდგომ, მერია ფართის ქირავნობის თანხას შესაბამისად გაზრდიდა.

ლ. ქავთარაძე - გამომსვლელმა განაცხადა, რომ არსად ეწერა მოქალაქის ვალდებულება აღნიშნული ფართის გარემონტებასთან დაკავშირებით.

მ. რუხაძე - მერიის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის, ბუნებრივი რესურსებისა და ადგილობრივი მოსაკრებლის განყოფილების უფროსი - გამომსვლელმა განმარტა, რომ ქირავნობის შემთხვევაში ხელშეკრულებაში ჩაიდებოდა აღნიშნული ფართის რემონტის აუცილებლობა.

დებატების დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ, სთხოვა საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობა, ყოფილი რედაქციის შენობის მეორე სართული, მდებარე ქალაქი ხობი გამსახურდიას ქუჩა, არის დაუტვირთავი, ფართი საჭიროებს რეაბილიტაციას, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ფართი გაიჯარდეს აუქციონის წესით. ქონება შეფასებულ იქნა ინდივიდუალური აუდიტორის, ექსპერტ-შემფასებლის მიერ. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 20, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. იოსავა, მ. ხუხია, ლ. ადანაია, გ. ქარდავა, ფ. წურწუმია, ი. ზაქარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N32 ოქმს თან ერთვის)

6. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის საერთო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან და დღის წესრიგით წარმოდგენილ იდენტურ მე-7 საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე გიორგი გვასალია პირადი განცხადების საფუძველზე გამოყვანილ იქნა საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიიდან; საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე აკაკი ხურცილავა პირადი განცხადების საფუძველზე გამოყვანილ იქნა საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის შემადგენლობიდან და შეყვანილ იქნა საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის შემადგენლობაში. ასევე საკრებულოს წევრი კობა გერგაია პირადი განცხადების საფუძველზე შეყვანილ იქნა საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის შემადგენლობაში, ხოლო საკრებულოს წევრი ფრიდონ შონია ასევე პირადი განცხადების საფუძველზე გამოყვანილ იქნა საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის

შემადგენლობიდან და შეყვანილ იქნა საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის შემადგენლობაში. ზემო აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით კომისიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტები: „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"; გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტები მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა ცნობის სახით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ხომ არ ექნებოდათ შეკითხვები წარმოდგენილ ინფორმაციასთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

დაადგინეს: წარმოდგენილი ინფორმაცია ცნობად იქნეს მიღებული

(განკარგულება N33 ოქმს თან ერთვის)

7. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ხომ არ ექნებოდათ შეკითხვები წარმოდგენილ ინფორმაციასთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

დაადგინეს: წარმოდგენილი ინფორმაცია ცნობად იქნეს მიღებული

(განკარგულება N34 ოქმს თან ერთვის)

8. „ხობის მუნიციპალიტეტში განათლების ხელშეწყობის 2023 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ე. კვიკვინია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ე. კვიკვინია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტში განათლების ხელშეწყობის 2023 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა. რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. გაბუნია) წარედგინა დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

დ. გაბუნია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მასწავლებელთა ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილებით განათლების ხელშეწყობის 2023 წლის მუნიციპალურ პროგრამას დაემატა ორი ღონისძიება: ხობის მუნიციპალიტეტის ღვაწლმოსილი განათლების სფეროს წარმომადგენელთა და წარმატებულ სტუდენტთა მატერიალური წახალისება. კერძოდ ჯიდლო გადაეცემათ განათლების სფეროში მოღვაწე ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროს წარმატებული, დამსახურებული ან/და ღვაწლმოსილ მუშაკებს, საჯარო ან კერძო სკოლის წარმატებულ, დამსახურებულ ან/და ღვაწლმოსილ მასწავლებლებს და იმ წარმატებულ სტუდენტებს, რომელთაც 2023 წელს საუკეთესო შედეგებით ჩააბარეს ერთიანი ეროვნული გამოცდები, მოიპოვეს 100%-იანი სახელმწიფო გრანტი, ჩაირიცხნენ ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და რეგისტრირებული არიან ხობის

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ან/და რეგისტრირებული იყვნენ ხობის მუნიციპალიტეტში მოქმედ საჯარო ან კერძო სკოლაში. აღნიშნული ღონისძიების დასაფინანსებლად მუნიციპალური პროგრამის „ხარჯთაღრიცხვას" დაემატა - წარმატებულ სტუდენტთა წახალისებისთვის - 4000 ლარი; ხოლო განათლების სფეროში მოღვაწე პირის წახალისებისთვის - 3000 ლარი, სულ 7000 ლარი. ჯამში პროგრამის ხარჯთაღრიცხვა განისაზღვრა 25600 ლარით. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტში განათლების ხელშეწყობის 2023 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე". გამომსვლელის განცხადებით, კომისიამ განიხილა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, რომელშიც გარკვეული კორექტივები იქნა შეტანილი, კერძოდ პროგრამის ღონისძიების ჩამონათვალიდან ამოღებულ იქნა სხვა სფეროს ღვაწლმოსილი მუშაკები, რადგან წარმოდგენილი პროექტი ეხებოდა განათლების სფეროს, აღნიშნული საკითხი შეთანხმებულიქნა შესაბამის სამსახურთან, ამ ცვლილების გათვალისწინებით კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 20, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. იოსავა, მ. ხუხია, ლ. ადანაია, გ. ქარდავა, ფ. წურწუმია, ი. ზაქარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N35 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე

მეხუთე მოწვევის საკრებულოს 2023 წლის 23 ოქტომბრის სხდომაზე დამსწრე

საკრებულოს წევრთა სია

1. ლევან ქავთარაძე
2. მამუკა ქარდავა
3.გოჩა ქაჯაია
4. ნუგზარი შუშანია
5. ბექა მამაცაშვილი
6. ვლადიმერ ქანთარია
7. მედეა თათარიშვილი
8. ლევანი ლიპარტია
9. დოდო გაბუნია
10. აკაკი მალანია
11. მაკა ჩარტია
12. აკაკი ხურცილავა
13. ბადრი რიჟამაძე
14. კობა გერგაია
15. გიორგი გვასალია
16. ბესიკი თამლიანი
17. მზია ლემონჯარია
18. გივი ლატარია
19. გურიელ ქარდავა
20. ვეფხვია ფოცხორაია
21. ფელიქს წურწუმია
22. ჯანსუღი ჯიმკარიანი
23. მალხაზი იოსავა
24. ირაკლი ზაქარაია